შეთანხმების ფურცელი

2012 წლის 24 ივლისს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის ხელმოწერილი (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 2) სასესხო ხელშეკრულებების ცვლილებაზე

უწყება	შენიშვნა	კომენტარი
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ შემდეგს: წარმოდგენილი ცვლილების ხელშეკრულების პროექტის მე-5 პუნქტის თანახმად, ცვლილების ხელშეკრულება ძალაში შედის აზიის განვითარების ბანკის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერილი ორიგინალის მიღების შემდეგ. აღნიშნულ დებულებასთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ, ვინაიდან ზემოხსენებული „დაფინანსების ჩარჩო ხელშეკრულება" რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ, ამავე ხელშეკრულების ცვლილების პროექტი „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად და, ასევე, „საქართველოს კონსტიტუციის" 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ექვემდებარება პარლამენტის მიერ რატიფიცირებას.	გათვალისწინებული იქნება
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	აღნიშნული პროექტის მე-5 პუნქტთან დაკავშირებით, რომელიც ეხება წარმოდგენილი ცვლილების ძალაში შესვლის საკითხს, გასათვალისწინებელია, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად „ნორმატიული აქტის ცვლილების მომზადება, მიღება (გამოცემა) და ძალაში შესვლა ხდება იმ ნორმატიული აქტის მომზადების, მიღებისა (გამოცემისა) და ამოქმედებისათვის დადგენილი წესით, რომელშიც შეიტანება ეს ცვლილება". ვინაიდან, 2012 წლის 24 ივლისის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სესხის ხელშეკრულება (განსაკუთრებული ოპერაციები) (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი II)" და „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სესხის ხელშეკრულება (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი II)" რომელთან დაკავშირებითაც წარმოდგენილია ცვლილების პროექტი, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 12 ივლისის N6633-რს და N6632-რს დადგენილებებით, წარმოდგენილი ცვლილება ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციას. შესაბამისად, პროექტის მე-5 პუნქტში მიზანშეწონილია აღინიშნოს შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის დასრულების (ამ შემთხვევაში რატიფიცირების) თაობაზე. აქვე აღსანიშნავია, რომ ცვლილების პროექტის სახელწოდება არ შეესაბამება ძირითად ხელშეკრულებათა სახელწოდებას, ვინაიდან, საქართველოს პარლამენტის ზემოხსენებული დადგენილებების თანახმად, ძირითად ხელშეკრულებათა სახელწოდებები ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სესხის ხელშეკრულება (განსაკუთრებული ოპერაციები) (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი II)" და „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სესხის ხელშეკრულება (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარებისსაინვესტიციო პროგრამა - პროექტი II)". ყოველივე ზემოაღნიშნულისა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია, წარმოდგენილი ხელშეკრულების ცვლილების დადება.	გათვალისწინებული იქნება, აზიის განვითარების ბანკს ხელმოწერილი ცვლილების ხელშეკრულების ორიგინალი მიეწოდება საქართველოს პარლამენტის მიერ აღნიშნული ცვლილების რატიფიკაციის შემდეგ. არ არის გათვალისწინებული, ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ADB-ის წერილი-შეთანხმების სტანდარტულ ფორმას, სადაც მითითება ხდება პროექტის დასახელებაზე და ნომერზე, ხოლო მხარეები განისაზღვრება ხელმოწერის გრაფაში. შესაბამისად, აღნიშნული პროექტი ვერ იქნება ძირითადი ხელშეკრულების მსგავსი ფორმატით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	შენიშვნა არ გააჩნია	
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	შენიშვნა არ გააჩნია	
საქართველოს ეროვნული ბანკი	შენიშვნა არ გააჩნია	
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	შენიშვნა არ გააჩნია	
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	შენიშვნა არ გააჩნია	